



1. ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ 400 გ მასის სხეულზე მოქმედებს 2 ნ ჰორიზონტალური ძალა. ზედაპირთან ხახუნის კოეფიციენტია 0,2. გამოთვალეთ სხეულზე მოქმედი თითოეული ძალის მიერ შესრულებული მუშაობა.
2. 50 კგ მასის და 10 მ სიგრძის ძელაკი დევს ჰორიზონტალურ ზედაპირზე. რა მინიმალური მუშაობა უნდა შევასრულოთ, რომ ის ვერტიკალურად დავაყენოთ, თუ მისი სიმძიმის ცენტრი ერთ-ერთი ბოლოდან დაშორებულია 8 მეტრით?
3. 720 კმ/სთ სიჩქარისას თვითმფრინავის ორივე ძრავა ავითარებს 20 მგვტ საერთო სიმძლავრეს. იპოვეთ ერთი ძრავის წევის ძალა მუშაობის მოცემულ რეჟიმში.
4. 10 მ სიმაღლეზე სხეულის სიჩქარე 10 მ/წმ-ია, სრული მექანიკური ენერგია კი 300 ჯ. იპოვეთ სხეულის მასა.
5. სხეულის სიჩქარე ერთ შემთხვევაში გაიზარდა 0-დან v -მდე, მეორე შემთხვევაში კი v -დან $2v$ -მდე. რამდენჯერ განსხვავდება ძალის მიერ შესრულებული მუშაობები?
6. 1.3 მ სიგრძის და 40 კგ მასის ერთგვაროვანი ღერო გაწონასწორებულია საყრდენზე, რომელიც მისი მარცხენა ბოლოდან 30 სმ-ზეა. იპოვეთ F ძალა. (ნახ.1)
7. $M=50$ კგ მასისა და 1 მეტრი სიგრძის ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული m_1 მასის ტვირთით, რომლის მხარი 20 სმ-ია. ბერკეტის მარჯვენა ბოლოზე $m_2 = 10$ კგ მასის ტვირთის ჩამოკიდების შემდეგ ბერკეტის წონასწორობა დაირღვა. (ნახ.2) რა მასის საწონი უნდა დავამატოთ ბერკეტის მარცხენა ბოლოში, რომ წონასწორობა აღდგეს?
8. ზამბარა გაჭიმეს ჯერ x -ით, შემდეგ კიდევ $2x$ -ით. რამდენჯერ მეტია ზამბარის პოტენციური ენერგია მეორე შემთხვევაში პირველთან შედარებით?



ნახ.1.



ნახ.2.